ტფილისი საჯარო ბიბლიოთეკა

№ 163
კვირა, 1 აგვისტო, 1899 წ.

1877—1899

# ივერია

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 ... | 10— | 6 ... | 6 — |
| 11 ... | 9 50 | 5 ... | 5 50 |
| 10 ... | 8 75 | 4 ... | 4 75 |
| 9 ... | 8 — | 3 ... | 3 50 |
| 8 ... | 7 25 | 2 ... | 2 75 |
| 7 ... | 6 50 | 1 ... | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

№ 163
კვირა, 1 აგვისტო, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ექიმი
კ. ს. გძელიშვილი
მიიღებს
ყელისა, ცხვირისა და ყურით
ავადმყოფებს.
დილ. 9—11 ს., საღამოზე 5—7 ს.
მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ. Михайловская, противъ кирки.
(100—31—44)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:
**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სალოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
**ყ. მ. ხიქოვანი**. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ფ. ი. ზაზანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.
**ა. ზ. კარაპეტიანცი**. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.
**ა. გ. გურკო**. 1½—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.
საღამოობით:
**ბ. ა. ნავასარდიანი** 7½—8 საათ.
**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.
Первая частная лѣчебница Д-ра Навасардіана.
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.
(—1—წ).

## მთავრობის განკარგულებანი.

დანიშნულ იქმნენ: ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მე VI ხარისხის მოხელენი ტრიფონ მიქაბერიძე და მოსე ყიფიანი იმავე კანტორის ფოსტა-ტელეგრაფის მე-V ხარისხის მოხელეებად; სტეფანე ათაბეგიშვილი მცხეთის საფოსტო განყოფილების მოხელედ.

დათხოვნილ იქმნა: სამსახურიდგან, თავისისავე თხოვნის თანახმად, ავადმყოფობის გამო, სიღნაღის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მოხელე სერგეი მელიქიშვილი.

## ახალი ამბავი

*** ტფილისის გუბერნიის მმართველმა განკარგულების მოსახდენად წარუდგინა კავკასიის მთავარ-მართებელს ქალაქის გამგეობის შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ დამტკიცებულ იქმნას ქალაქის ბაკებით სარგებლობის გარდასახადის რაოდენობა.

*** იმავე გუბერნიის მმართველმა წინადადება მისცა ახალ-ციხისა, ახალ-ქალაქისა, გორისა, დუშეთისა, თელავისა, სიღნაღისა და კოჯორის მამასახლისებს, მომაწოდეთ არა უგვიანეს 15 აგვისტოსა, ცნობები თქვენდამი რწმუნებულ ქალაქების 1898 წლის ნამდვილ შემოსავალ-გასავლის შესახებაო. ასეთივე ცნობები უნდა წარადგინონ ხოლმე მათ შემდეგშიაც ყოველ წლივ 1-ლ ივნისამდე.

*** საგანგებო საქმეთა გამომძიებელმა ბ-ნმა აბელმა, რომელიც ამ ჟამად ტფილისის ქალაქის მოურავისა და გამგეობის წევრთა საქმეს იძიებს, ტფილისის გუბერნატორის კანცელარიას სთხოვა, გამომიგზავნეთ პირი: 1) შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებისა საბაზრო მოედნების ადგილებზედ გარდასახადის აკრეფის შესახებ, 2) ტფილისის ქალაქის მოურავის პასუხისა გუბერნატორის იმ მოთხოვნილების, რომელიც შეეხებოდა ზოგიერთს ცნობებს აღნიშნულ ბრძანების შესახებ, 3) იმ განსაკუთრებულ სხდომის დასკვნისა, რომელიც მოხდა გუბერნატორის თავმჯდომარეობით იმავე ბრძანების შესახებ და 4) ტფილისის ქალაქის მოურავის იმ წარდგენილებისა, რომელიც პასუხი იყო გუბერნატორის წინადადებისა იმის შესახებ, თუ რა საბუთის ძალით არსებობს ქ. ტფილისში გარდასახადი სოფლის ნაწარმოებსა, ეტლებსა და ქალაქის სასაკლაოს გარედ დახოცილ საქონელზედაო; გამომიგზავნეთ აგრეთვე პირი ქალაქის საბჭოს დადგენილებისა საკვირაო გარდასახადის დაწესების შესახებაო.

*** ტფილისის გუბერნიის საერო სასწავლებელთა დირექტორის თანაშემწე აღმასრულებელმა დაამტკიცა ახლად დასაარსებელ საქალაქო სკოლების მმართველებად ქ-ნნი ქალანთარისა, ხერასკოვისა, პეტროვსკისა, წულუკიძისა და ბრონსკისა.

*** ქალაქის სასწავლებელთა კომისიამ წარუდგინა ქალაქის გამგეობას ახლად შემუშავებული წესები საქალაქო სასწავლებელთა მართვა გამგეობის შესახებ. გამგეობამ დაადგინა ქალაქის საბჭოს წარუდგინოს ეს წესები დასამტკიცებლად.

*** ტფილისის საფერშლო სკოლის შენახვად, რომელიც მიხეილის საავადმყოფოსთან არსებობს, გამონაგარიშებულია 30,193 მან.

*** 30 ივლისს ქალაქის გამგეობამ გაუგზავნა ტფილისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელს ყველა დავთრები, დაფასების უწყებანი და საბუთის ქაღალდები, რომლებშიაც აღმოჩნდა სიყალბე.

*** ტფილისის პეტრე პავლეს სასაფლაოსთან არსებული წერა-კითხვის სკოლა გადაკეთებულ იქმნა ერთკლასიან სამრევლო სკოლად.

*** იმ კომისიის თავმჯდომარემ, რომელსაც მინდობილი აქვს ციმბირში გაგზავნის მოსასპობ ზომების შემუშავება, მოსთხოვა კავკასიის საგუბერნიო მთავრობათ, მომაწოდეთ 15 სექტემბრამდე ცნობები სატუსაღოთა გასამართად და შენახვ ჯარიმების რაოდენობისა და ამ ჯარიმებიდგან ყოველ წლივ დახარჯულ ფულის რაოდენობის შესახებაო.

*** საიმპერატორო კერძო საეკონომიო საზოგადოებას, რომელიც ამ მოკლე ხანში თესლეულობის გამოფენას გამართავს, უთხოვნია კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისათვის, შეეცადეთ, რომ ამ გამოფენაში მონაწილეობა მიიღონ კავკასიელმა მეურნეებმაო.

*** როგორც ისმის, ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ დაარსებულ იქმნას ქალაქის საფოსტო განყოფილებებთან სატელეგრაფო განყოფილებანი, სადაც კერძო დეპეშები უნდა მიიღებოდეს.

*** ბაქოდგან გასულ ერთის კვირის განმავლობაში გაუზიდნიათ სულ 2,364,217 ფუთი ნავთი; აქედგან ბათუმში გაუზიდნიან 1,243,605 ფუთი ნავთი, ასტრახანში—932,748 ფ., პეტროვსკში—158,484 ფ., და იმიერ-კასპიის ოლქში—29,335 ფ.

*** ამ მოკლე ხანში სათანადო მთავრობა ლაპარაკს აღძრავს იმის შესახებ, რომ შემუშავებულ იქმნას ამიერ-კავკასიის ნავთის მწარმოებელთათვის ზომები ნავთის ადგილებში ცეცხლის გაჩენისა და საზოგადოდ უბედურ შემთხვევათა თავიდგან ასაცილებლად.

## ფელეტონი

### სიმღერა

სამშობლოს მცველნო, სადა ხართ,
ერთხელ ვერ გნახეთ თვალითა,—
სახე ნათელით, აბჯარში
და მადლიანის მკლავითა?!.
რა ძლიერ შეგყვარებიათ
თავისი მშვიდი სადგური...
ადექით, ერთხელ გვეჩვენეთ,
ერთხელ დაგვიგდეთ ჩვენც ყური!
გვეჩვენეთ, თორემ ეს არი
გაყინა ტვინი და გული,
ხვალ აღარ გვეცოდინება
ანდერძი თქვენი და რჯული.
ნეტავი ერთხელ ჩემს თვალთა,
მწყურვალთ გმირების ნახვითა,
თქვენ მაინც დაუდგებოდით
სრულის ჯანით და სახითა,
რომ გამძღარიყო, ბეჩავი,
მხოლოდა თქვენის ცქერითა
და მაშინ გულის ნაგრძნობი
მე-კი მეუბნა ენითა.
არ უწყით? აკრიფენით
თქვენს ნაანდერძევს კერითა,
დავიარებით სოფლადა
თავზე წაყრილის მტვერითა.
მე-კი გულს ვიფხან კიდევა
თქვენთან წერილის წერითა.
ხან, როგორც ეხლა, გემდურით,
ხან გიხსენიებთ ქებითა,
თქვენგან პასუხი არ მესმის,
კაცნო, რად მაგრე ჰშვრებითა?!.

ვაჟა-ფშაველა

### 200 გრადუსი სიცივე.

ფრეისა

(შემოკლებული)

იყო და არა იყო რა,—ასე იწყებდა ხოლმე ზღაპრებს ჩემი ბებერი გადია, იყო ერთი ხელმწიფე, რომელსაც ეყოლა ქალიშვილი. მეფემ მოინდომა დიდის სერის (მეჯლიშის) გარდახდა და ამის გამო მიიპატიჟა ყველანი თავის სამეფოდამ, დიდიდამ დაწყებული ვიდრე პატარამდე; არ იყვნენ დავიწყებულნი მოგვნი და მისანნი (ჯადოქრები), რომ მათ გაეგოთ მომავალი ბედი ახლად დაბადებულისა. როდესაც მიწვეულნი მოუსხდნენ სუფრას და ემზადებოდნენ სხვა-და-სხვა მშვენიერის საჭმელების მირთმევას, ამ დროს საიდგანღაც მოულოდნელად გაჩნდა დედაბერი ჯადოქარი, რომლის დაძახება მეფი კარის-კაცებს, როგორღაც, დაჰვიწყებოდათ. რისთვის დამივიწყე, მეფევ, მიჰმართა მან გკირგვინოსან მასპინძელ. შენი ქალიშვილი ისე არ ეღირსება იმ ბედნიერებას, რომელსაც აღუთქვამენ აქ მყოფნი მკითხავ-ჯადოქრები, როგორც ყველა მოწვეულნი დღეს ვერ ეღირსებიან ამ მშვენიერის საჭმელების მირთმევას. სთქვა თუ არა ბოროტმა ჯადოქარმა ეს სიტყვები, მაშინვე თავისი კვერთხი სუფრისაკენ გაიშვირა და მყისვე სასმელ-საჭმელები ყინულად გარდაიქცია.

ეს ზღაპარი მომაგონდა, როდესაც გავიგე ფიზიკოსის ტომსონის საოცარი „ხუმრობა“, რომელიც მოუხდენია ამერიკაში თავისს ამხანაგებთან. რამდენიმე პროფესორი შეიკრიბნენ სადილად ერთ-ერთს სასტუმროში. სტუმრები მიუსხდნენ მაგიდას და მოსამსახურეებმა შემოიტანეს თუ არა წვნიანი საჭმელი, ერთმა პროფესორმა შეჰყვირა: „უცქირეთ, წვენი გაიყინა“. ყველანი მიიწივნენ ჰურჭლისაკენ და მართლაც შიგ წვენის მაგიერად დაინახეს ყინულის ნაჭერი. მოიტანეს მეორე საჭმელი—თევზი. დადგეს თუ არა მაგიდაზედ, განმეორდა ახალი ხმაურობა: „ნამდვილად ჩვენ დაგვცინიან, ეს თევზი კი არ არის, რაღაცა მაგარი საგანია, როგორც ქვა“. შემდეგ საჭმელებსაც ესე მოუვიდათ. შემწვარი მაშინვე გაიყინა, რა წამსაც მაგიდასთან ახლო მიიტანეს, პური ისე გამაგრდა, როგორც ფოლადი, ღვინო და წყალი ყინულად იქცა. მოსამსახურეებმა დაუძახეს სასტუმროს პატრონს და ყველანი ერთად არწმუნებდნენ პროფესორებს, რომ სამზარეულოს ღუმელი ისეა გახურებული, რომ წითლად ელვარებს, სასადილო ოთახში 18 გრადუსი სითბოა და ამიტომ ჩვენც გვიკვირს, რა უნდა იყოს მიზეზი ამ საოცარის მოვლენისაო. რასაკვირველია, უსადილონი დარჩნენ პროფესორები, მაგრამ ამ შემთხვევის გამო დიდი მითქმა-მოთქმა იყო ქ. ლაინში და სხვა და სხვა ნაირად ჰხსნიდნენ ყველანი, ვიდრე გამოცანა თითონ ტომსონმა არ ახსნა. აღმოჩნდა რომ, როდესაც ტომსონი სასტუმროში მიდიოდა, თან გაიყოლა პატარა ჰურჭლით ჰაეროვანი სითხე (воздушная жидкость), რომლითაც ყინულად გარდაიქცია სასმელ-საჭმელები.

ჩვენის ჩვეულებრივ ჰაერის ზოგიერთი განსაკუთრებითი თვისება ისეთი საკვირველი და საოცარია, რომ ღირსია ყურადღებისა და ცოდნისა.

ჰაერი, რომლითაც ჩვენი დედამიწა გარემოცულია და რომლითაც ვსუნთქავთ, შედგება, როგორც გვასწავლის თანამედროვე ფიზიკა, აზოტისაგან, მჟავ-ბადისაგან (кислородъ) და ნახშირ-მბადისაგან (углекислота). თანამედროვე ქიმიკოსებმა იპოვნეს ჰაერში კიდევ: გელი, კრიპტონი და ნეონი. ეს ნაწილები ჩვეულებრივი ჰაერისა, საზოგადოდ შეიძლება განვიხილოთ, როგორც ძლიერ გათხელებული ორთქლი (разрѣженные поры) და, როგორც უკანასკნელი, შეკუმშვითა და გაცივებით გადაიქცევიან სითხედ. ინგლისის მსწავლულმა დიუარმა თავისს სამუშაო ოთახში ჩვეულებრივი ჰაერი უფერულ სითხეთ გარდაქცია. მხოლოდ, როგორც ამბობენ, ძლიერ ბევრი ფული დაჰხარჯა, ვიდრე თავისს აზრს განახორციელებდა. მეორე მეცნიერმა ჩარლ ტრიპლერმა გამოიგონა უფრო იაფ-ფასიანი მანქანა, რომლის შემწეობით შეიძლება კაცმა ჰაერი სითხედ აქციოსო.

ტრიპლერის მანქანა იმაზეა დამყარებული, რომ რაც შეიძლება მალე აცლის ჰაერს სითბოს და, სამაგიეროდ, აძლევს საგრძნობელ სიცივეს. „ნასოსის“ შემწეობით ჰაერი იკრიფება მანქანაში. თითონ მანქანა შესდგება მოხრილის სპილენძის რკალებისაგან თავის სახურავებით. როდესაც მანქანა მოქმედებაში მოდის, ნასოსის შემწეობით იმდენი ჰაერი იკრიბება და იქამდე სქელდება, რომ სულ ნახევარის საათის შემდეგ ონკანიდგან დენას დაიწყებს, როგორც წყალი. ჰაეროვანი სითხე ემსგავსება ჩვეულებრივ წყალს და განსხვავდება

⁂ იმ დიდის ზარალის გამო, რომელსაც სეტყვისაგან აქვთ ხოლმე კახეთის მევენახეთ, კავკასიის საფილოქსერო კომიტეტმა მიანდო ერთს თვისს წევრს სეტყვისაგან ვენახისა და სხვა მცენარეთა დაზღვევის პროექტის შემუშავება.

⁂ როგორც ვუწყით, ტფილისის ქალაქის საბჭომ დაადგინა დაწესებულ იქმნას გარდასახადი ხარებსა, კამეჩებსა და სახედრებზედ. ამ ჟამად ტფილისის გუბერნიის მმართველმა წინადადება მისცა ქალაქის მოურავის მოადგილეს, წარმომიდგინეთ ამ დადგენილების დასამტკიცებლად, ცხენებზედ არსებულ გარდასახადის აკრეფის წესებიო.

⁂ ს. ჯუმათი, (ოზურგეთის მაზრა). ყოვლად უსამღვდელოესმა ალექსანდრემ, ეპისკოპოსმა გურია-სამეგრელოისამ 26-ს ივლისს დაათვალიერა ჯუმათის მთავარ-ანგელოზის მონასტერი და ათი თუმანი შესწირა სამრეკლოს შესაკეთებლად.

## წერილი ქვემო რაჭიდგან

ჩვენ, რაჭველები, მართალია რომ ჩაცვივნული ვართ ქვაში, სადაც ხალხმა უკიდურეს სივიწროის გამო ლამის ერთმანერთი შესჭამოს. აქაურ მკვიდრთათვის არც ადგილია, არც გზა-კვალი, არც სწავლა-განათლება და არც ზნეობა, რომლითაც ამ 30—40 წლის წინადაც იყვნენ ცნობილნი რაჭველები. ქონების მოსპობასთან და სიღარიბესთან დავჰკარგეთ ის ღვთიური ნაპერწკალიც სათნოებისა, რომელიც ადამიანს არჩევს მხეცისაგან. მობრძანდით აქ საცხოვრებლად, თუ არ გჯერათ და დარწმუნდებით ამ ჩემს უნებლიეთ ალსარებაში. ეს გარემოება არც მაინც და მაინც გასაკვირალად დაურჩება კაცს, თუკი ჩაუკვირდება იმ პირობებს, რომელთა შორისაც ესენი სცხოვრობენ. ადგილის სიმცირემ აქაური ხალხი დიდი ხანია „გარედმავალად“ აქცია, ადგილობრივ სკოლებს ჯერ ზედ-მოქმედება მცხოვრებლებზე არ აქვსთ, რადგან იმათი რიცხვი მცირეა და ბევრთათვის ხელმიუწდომელი: იმის ნაცვლად, რომ ყოველ ხევსა და მოზრდილ სოფელში თითო სკოლა გაეხსნათ, ადგნენ, ბატონებო, და ხარჯის შესამცირებლადაო (ხალხის სიტყვით კი „გადასახადის“ რაოდენობამ იმატა, არამც თუ იკლო) თუ სხვა აზრით საზოგადოებანი (2—3) შეაერთეს, ამათი ერთ-კლასიანი სკოლები, რომელთა რიცხვი მცირე იყო, დაჰხურეს და ამ შეერთებულს ვებერთელა საზოგადოებას დაუპირეს თითო ორ-კლასიანი სკოლა (ხუთი წლის კურსით). ჩვენ სრულიად არა ვართ წინააღმდეგნი ამ ორ-კლასიან სკოლებისა, მაგრამ არც ისაა მოსაწონი და სასურველი, რომ ამ გარემოების წყალობით უმრავლესობა აქაური მოზარდი ყმაწვილებისა სრულიად სკოლის გარეთ რჩება. თვით ამ ორ-კლასიან სკოლებში მოსწავლეთა რიცხვი 130 არ გადააჭარბებს. ამდენი ერთ-კლასიან სკოლებშიაც არის თითოში, რასაკვირველია, ქვემო-იმერეთ-სამეგრელო-გურიაში. სწავლის მიღების სურვილი აქაც ძლიერია, მხოლოდ ცხრა-მთას იქით ნუ გადაუკარგავთ სკოლას. უგზო-უკვლობით ეს მთა-გორიანი მხარე სრულიად მოწყვეტილია დანარჩენს ქვეყანას—ავსტრალიაში უფრო ადვილია მოგზაურობა, ვინემ აქ.

შავი ზღვის პირად თუ ფუთი სიმინდი 30 კ., რაჭაში იმისი ფასი ადის 70 კ.—1 მანეთამდინ. გზები რომ იყვეს, ეს ასე არ იქნებოდა. ვინ ჩამოსთვლის რამდენი სხვა ზარალი მოსდის მცხოვრებლებს უგზოობით.

წელს ბუნებამ თითქო ხელი აიღო რაჭაზე: სამ კვირაზე მეტია, წვიმა არ უნახავს აქაურს ნამუშევარს. სიმინდი სრულიად გაგვიფუჭა გვალვამ; არც პურმა დაგვაყარა სიკეთე, ადგილ-ადგილ ბზისათვის მოჰთიბეს პური, თორემ მარცვალმა თქვენი ჭირი წაიღო. ასეთი მოსავლის შემდეგ რაჭაში აუშორებელია შიმშილი, რომელიც უსაზღვროდ დავალიანებულს ხალხს კიდევ უფრო დაავალიანებს. ისე არსად არ უნდა იყოს დადებული ხელობად მევახშეობა, როგორც რაჭაში. მართლა ეს მევახშეობა! აქაური ხალხის სამარის გამთხრელი ეს მევახშეობაა. წინად თუ ბატონ-ყმობის უღელი აწვა ხალხს, ეხლა ეს სენი ანადგურებს: მთელი სოფელი ორი-სამი კაცის ყურ-მოჭრილი ყმაა. უწინ თუ თავად-აზნაურებს ჰყავდათ ყმები, ეხლა ბევრი გლეხი თითონ გაჰხდა ბატონი და პატრონი. ვაი ასეთ პატრონობასაც!

ქვემო-რაჭველი

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ს. შინდისი**, (გორის მაზრა). ს. შინდისში მდებარეობს მდ. ლიახვის ნაპირზედ. ეს სოფელი ბუნებით მეტად მდიდარია ყოველ მხრით, შინდისის პური განთქმულია მთელს ქართლში; როცა აქ კარგი მოსავალია, გლეხთა უმრავლესობას იმდენი პური მოსდის, რომ ოჯახსაც ჰკვებავს მათი, და იმდენსაც ჰყიდის, რომ სავსებით აკმაყოფილებს სხვა და სხვა გვარ საჭიროებას. მაგრამ სამწუხაროდ, ეს ხუთი წელიწადია, რაც აქ ხეირიანი მოსავალი აღარავის უნახავს. ბევრი ტანჯვა გამოიარა აქაურმა გლეხ-კაცმა ამ ხნის განმავლობაში, ბევრს საჭმელი პურიც არ მოსვლია. წელს ბედნიერი წელიწადი დაუდგათ შინდისელთ: მათ ასცდა სეტყვა და ამის გამო აქ მშვენიერი მოსავალია ჭირნახულისა და აგრეთვე ხილისა. მაგრამ რა?! გლეხკაცი რომ თავის მოსავალით სარგებლობდეს, ხომ ღარიბიც არ იქნება! მისი წლიური მოსავალი ჩარჩ-ვაჭრების ხელშია. დაიწყო თუ არა მკა, მაშინვე ბუზანკლებივით აირივნენ ურიები; არც ქალაქისა და გორის ვაჭრები აკლებენ ხელს. ეს ჩარჩები მოდიან ადგილობრივ და ნახევარ ფასად იკვეთავენ მოსავალს. ეხლა აქ გახურებული მკაა და ლეწვაა და, საბედნიეროდ, ამინდიც ხელს უწყობს.

წელს აქ, შედარებით სხვა წლებთან, სიღიანობაა; კვლავ ამ დროს აქ ციება ყოფილა გახშირებული, წელსკი, ციების მაგივრად, რაღაც მუცლის ავადმყოფობა გაჩნდა; უფრო ბავშვებში.

ეს სამი წელიწადია, რაც აქ დაარსდა ორ-განყოფილებიანი სკოლა რომელიც დროებით იმყოფებოდა სასოფლო კანცელარიაში, და წელსკი გადაიტანეს საკუთარ შენობაში. სწავლა-განათლებით ჩვენი სოფელი ძალიან დაქვეითებულია. სამწუხაროა, რომ ადგილობრივი აზნაურები ნაკლებად ზრუნავენ ამ საგანზედ: ხარჯში ისინი მონაწილეობას არ ღებულობენ, თუმცა, ჩვენის ფიქრით, მათ შორის არ მოიძებნება იმდენად ღარიბი, რომ წელიწადში მანეთის გამოღება გაუჭირდეს. სკოლის მასწავლებელს, ბ-ნს ვ. მაჭარაშვილს ჯერჯერობით კარგად მიჰყავს თავისი საქმე და, იმედია, შემდეგშიაც კარგად წაიყვანს.

ამ დღეებში აქ დანიშნულია კრება, რომელსაც საგნად აქვს სასოფლო მაღაზიის წლიური ანგარიშის განხილვა.

გარდა ამისა 28 ივლისს აქ მოხდა ყრილობა, რომელზედაც აღიძრა ლაპარაკი სამკითხველოს დაარსების შესახებ.

ოლღა მირზაშვილი

## რუსეთი

სამკურნალო საბჭომ შეადგინა ახალი საფთიაქო ნიხრი, რომელიც უკვე დაამტკიცა შინაგან საქმეთა მინისტრმა და ძალაში შევა სატახტო ქალაქებში 1899 წლის 1 ლ სექტემბრიდგან, ხოლო ევროპის რუსეთის დანარჩენ ადგილებში 1 ლ ოქტომბრიდგან. ციმბირსა, შუა აზიასა და კავკასიაში ახალ ნიხრის შემოღების შესახებ მოხდება განსაკუთრებული განკარგულება.

— ამ წლის სექტემბრის მეორე ნახევარში ქ. ვარშავაში მოწვეულ იქნება რკინის გზის მკურნალთა კრება, რომელიც განიხილავს 30-მდე საქმეს. სხვათა შორის, კრებაზედ ლაპარაკი იქნება იმის შესახებ, რომ განსაზღვრულ იქმნას ის ავადმყოფობანი, რომლებითაც დაავადებულნი არ უნდა იქმნან მიღებულნი რკინის გზის მსახურებად; გასინჯულ იქმნან რკინის გზის მსახურნი მკურნალის-მიერ მათის სიცოცხლის დაზღვევის დროს; თავიდგან აშორებულ იქმნას რკინის გზებზედ უბედური შემთხვევები; შემოღებულ იქმნას რკინის გზის სახელოსნოებში მუშაობის დროს თვალების დასაცველად სახმარი სათვალეები და სხვა.

— რუსეთის მხატვართა თაოსნობით ბეტერბურგში არსდება რუსეთის სამხატვრო განათლების გამავრცელებელი საზოგადოება.

— პეტერბურგელ პარიკმახერთა თანაშემწენი აარსებენ თავიანთ შორის საურთიერთო დამხმარებელ საზოგადოებას.

## უცხოეთი

**ინგლისი.** ჰააგის სამშვიდობო კონფერენციაზე ლაპარაკი ჩამოვარდა იმის შესახებ, რომ საყოველთაოდ აკრძალულ იქმნას ტყვია „დუმ-დუმი“, რადგან იმით დაჭრილი ადამიანი, თუ სხვა რამე სულდგმული, აუტანელს ტანჯვას გრძნობს. ინგლისურ გაზეთის „Pall Mall Gogette“-ს ერთი თანამშრომელი-მოლდმოლდკოვსკი, მეხხება რა ამ საგანს, ამბობს: „იმ კაცს, რომელიც გამოხვს გამოუდგება მოსაკლავად, „დუმ-დუმ“-ის მსგავსი ტყვია თუ არა აქვს, ბრიყვად უნდა ჩაითვალოს. რა უნდა იფიქროს

---

ლაჟვარდის ფერით. ჰაერის სითხე ქუოქელში, მაგალითად ჭიქაში, დიდხანს არა რჩება; ის მაშინვე დუღილს დაიწყებს და წინწკლებს აქეთ-იქით ასვრის, მაგრამ დუღილი მალე დგება, როდესაც ჭიქა გაცივდება იმ ზომამდე, რა ზომა სიცივეც ჰაერის სითხეს აქვს. სითხე ჭიქიდგან, ნახევარის საათის შემდეგ სრულიად ჰქრება და მხოლოდ ჭიქის ძირში ცოტაოდენი ყინული რჩება, როგორც დარჩენილი კვალი. დიუარმა მოიგონა ისეთი ჭურჭელი, რომ სამ საათს და უფრო მომეტებულს ხანს შეიძლება კაცმა შეინახოს ჰაერის სითხე, როცა ჰხედავთ ჰაეროვან სითხეს დუღილს, თქვენ გგონიათ, ძლიერ ცხელია და იმიტომაც ჰდუღსო, მაგრამ ის ისეთს სიცივეს შეიცავს, რომ რასაც-კი შეეხება, საოცარის სისწრაფით ყინულად აქცევს. მაგალითად, თითი რომ ჩაჰყოთ შიგ და მალე არ ამოიღოთ, მაშინვე გაიყინება; თითონ დუღილი ჰაეროვანის სითხესი აიხსნება იმითი, რომ, აქვს რა 200 გრადუსი სიცივე, მიისწრაფვის შეუერთდეს თავისს მოძმეს, ე. ი. თფილს ჰაერს. 200 გრადუსი სიცივე ჩვენ პირველად გვესმის და ის საოცარი მოვლენანი, რომელნიც მოჰსდევენ ხოლმე ესეთ სიცივეს, დაუჯერებელი და სასწაულებრივი გვგონია.

რომ ავიღოთ ქეთლი, ანუ ჩაიდანი და შიგ ჩავასხათ ჰაერის სითხე, ქეთლში დაიწყებს დუღილს და ეს დუთილი თან და თან ჰკლებულობს იმის დაგვარად, როგორც ჭურჭელი ცივდება; მაგრამ ძლიერს ცეცხლზედ რომ შევდგათ, ქეთლში დუღილი ისევ ჰმატულობს და მის (ქეთლის) ძირში, ცეცხლის სიახლოვეს, ყინული გაკეთდება. პატარა ყინულის ნაჭერი რომ ჩავაგდოთ ქეთლში, დუღილი ისევ ჰმატულობს და შხივილს დაიწყებს, თითქოს, ყინულის მაგივრად, გახურებული რკინა ჩაგეგდოთ. როდესაც ქეთლში ჩაუმატებთ ცოტა წყალს, ჰაეროვანი სითხე ჩუხჩუხს დაიწყებს, პირებიდგან გადმოვა და ოშხივარი ავარდება, თქვენა გგონიათ წყალი ჰდუღსო, მაგრამ როდესაც ქეთლს სარქველს აჰხდით, შიგ წყლის მაგიერად მაგარის ყინულის ნაჭრებს დაინახავთ.

საოცარი ძალა, რომელიც აქვს ჰაერის სითხეს, მტკიცდება შემდეგის გამოცდით. ლითონის თუნუქაში ჩაასხამთ რამდენსამე წვეთს ჰაერის სითხისას და თავს მაგრად გაუკეთებთ საცობით; საცობი მაშინვე ამოვარდება და დამბაჩასავით ხმას ამოიღებს. ერთი კუბიკური ფუტი ჰაერის სითხე შეიცავს 800 კუბიკურს ჩვეულებრივ ჰაერს. ჰაერის სითხე, როდესაც იღებს ისევ თავისს პირვანდელ მდგომარეობას, 800 ჯერ უნდა გაფართოვდეს და ამიტომ საკვირველი არ არის, რომ ისეთს ძლიერებას იჩენს თავის გაფართოვების დროს.

რკინა, ფოლადი და ჟესტი ჰაეროვანის სითხის გავლენით ისე მალე იმტვრევა, როგორც შუშა; მხოლოდ ოქროსა, ვერცხლსა და სპილენძზედ გავლენა არა აქვს.

დანამდვილებით და დაწვრილებით რომ გაიცნოს კაცმა განსაკუთრებითი თვისებანი 200 გრადუსიან ჰაეროვან სითხისა, ეს ყველასათვის, ვგონებ, შესაძლებელი არ არის. თუ ვიტყვით, რომ ახლად მოვლენილი სითხე ხორცს ყინულად გადააქცევს და ისე გაამაგრებს როგორც ლითონს, ეს კიდევ იმას არ ამტკიცებს, რომ ამისათვის აუცილებლად საჭირო იყოს 200 გრადუსი სიცივე. ყველამ კარგად იცის, რომ 20—30 გრადუსი სიცივე ხორცს არა ნაკლებ გაჰყინას. ყველაზედ დიდი საზღვარი სიცივისა ჩვენთვის არის თვისება ვერცხლის წყლისა და სპირტისა, რომ 40—60 გრადუსს სიცივეს უძლებენ და არ იყინებიან. სწორედ ამ თვისებაზედ არის დამყარებული ტერმომეტრების გაკეთება. შუა და სამხრეთ რუსეთში, სადაც სიცივე იშვიათად ადის 40 გრადუსამდე, სრულიად გამოსადეგად ითვლება ვერცხლის წყლის ტერმომეტრები, მაგრამ ჩრდილოეთ და სამხრეთ პოლიუსებში ვერცხლის წყალი იყინება სიცივისაგან და იმის ნაცვლად ჰხმარობენ სპირტის საზომებს. ეხლა რაკი გამოგონებულ იქმნა ჰაერის სითხე, მის გასაზომად ვერცხლის წყალი და სპირტი სრულიად გამოუსადეგრად უნდა ჩაითვალოს; როგორც ერთი, ისე მეორე ვერ უძლებენ, იყინებიან. ვერცხლის წყალი ისე მაგრდება, როგორც კალა, და სპირტი ყინულის ჩანჩხურად ხდება.

რისთვის არის ჩვენთვის საჭირო ჰაერის სითხე და მისი 200 გრადუსი სიცივე? ჯერ ხანობით ადრეა საბუთიანის პასუხის გაცემა. მაგრამ ეს კი შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ დიდი მერმისი მოელის ამას, როგორც მეორე დიდ გამოგონებას—რენტგენის სხივებს. ეს ორი გამოგონება ერთი მეორის დახმარებით მოახდენს დიდ ცვლილებას როგორც სამკურნალო, ისე სხვა დარგ მეცნიერებაში.

ყველაზე უპირველეს ჰაერის სითხე წარმოადგენს როგორც მასალას სხვა-და-სხვა საჭიროების გასაცივებლად. რა ნაირი მადლობლები იქმნებიან ამ დაუფასებელ საჩუქრისათვის ცხელ ქვეყნის მცხოვრებლები, რომლებმაც არამც თუ თავიანთი ნაწარმოები, არამედ არ იციან თავიანთი თავი როგორ დაიცვან სიცხე-პაპანაქებისაგან. ამერიკის მკურნალებს იმედი აქვთ ჰაერის სითხეთი მოსპონ საავადმყოფოებში სხვა-და-სხვა ბაქტერიები და მიკრო ორგანიზმები; იმედი აქვთ სითხეს სიცივე გამოიყენონ, როგორც დამწველი საშუალება სიმსივნესი, კუს მოსარჩენად და სხ......

ეხლა ადვილად შესაძლებელი ხდება სალის ადგილიდგან ჰაერი გადატანილ იქმნას იქ, სადაც ჰაერი მოშხამულია. ჰლექიანებს ბედი ეხსნებათ... ავადმყოფს შეუძლიან თავისი საცხოვრებელი ადგილი არ გამოიცვალოს და მკურნალის დარიგებით თავისს სახლში ისარგებლოს ცივისა, წმინდა და სალის ჰაერით.

მღ. ალ. გულისაშვილი

სალდათებმა სახელმწიფო მოღვაწეთა შესახებ, რომელნიც გაჰგზავნიან მათ ისეთ საშიშარ მტრის წინააღმდეგ, როგორიც ვეფხვია, შესაფერისი იარაღი რომ არ გაატანონ თან. მომავალ ომის დროს ქვეითა ჯარს, უთუოდ, მოუხდება შეტაკება დიდ-ძალ ცხენოსან ჯართან. ტყვიას, რომელსაც შეუძლიან კაცის შეჩერება, ცხენს ყოველთვის ვერ შეაჩერებს. საზოგადოდ, მიეცით ინგლისელ ჯარის-კაცებს ტყვია, რომლის ცოტაოდენ ჭრილობას შეემლოს დიდი ტანჯვის მიყენება, და ინგლისის მტრები ორჯელ გაზომვენ, სანამ გარდასწყვეტდნენ ინგლისის ჯარს შებრძოლონო“.

—

**ოსმალეთი.** როგორც გაზეთები იუწყებიან, ხონთქარი დიდს ფიქრში ყოფილა და არ იცის, რა გზას დაადგეს. საქმე ის არის, რომ ერთის მხრით გერმანიის ქვეშევრდომი ნემცები თხოულობენ ირადეს გამოცემას, რომ მათ კონცესია მიეცეთ ბაღდათამდე რკინის გზის გაყვანის შესახებ, ხოლო მეორეს მხრით ინგლისელებს აქვთ თავიანთი პროექტი წარდგენილი ანატოლიაში რკინის გზის გაყვანის შესახებ, და მრავალი წარჩინებული ოსმალი მათ ხელს უწყობს თურმე. ხონთქარს ძლიერ ეშინიან არ გააჯავროს ჩემი მეგობარი — იმპერატორი ვილჰელმი, მაგრამ ამავე დროს თავისი გავლენიან ქვეშევრდომებისაც ეხათრება. ამიტომ ეს საგანი, ე. ი. ანატოლიის სხვა-და-სხვა ადგილას რკინის გზის გაყვანის საქმე ჯერ-ჯერობით გადაუწყვეტელი ყოფილა.

—

**კრიტი.** კრიტიდგან ოსმალეთში გადმოსულ მაჰმადიანთაგან ბევრი უკანვე აპირებს დაბრუნებას. როგორც განეიდგან იუწყებიან, ამ დღეებში 150 მაჰმადიანთა ოჯახობა მისულა გემით სმირნიდგან. მათ შორის ბევრი კანდიელი ყოფილა, სადაც მაჰმადიანები განთქმული არიან სარწმუნოებრივი ფანატიკოსობით. უკან დაბრუნებულების სიტყვით, კრიტიდგან გადასახლებულ მაჰმადიანთა შორის ძლიერ ბევრია სამშობლოში დაბრუნების მსურველი, მაგრამ ოსმალეთის მთავრობის აგენტები ყოველ გვარ ღონისძიებით ხელს უშლიან თურმე მათ, — თავიანთი სურვილი არ გაახორციელონ. ამასთანავე ისიც უამბნიათ, რომ ოსმალეთის ქვეშევრდომები მეგობრულად ვერ დაუხვდნენ კრიტელ მაჰმადიანებსო.

კრიტის კუნძულზე დიდ-ძალი სომხობაც მინავალა დასასახლებლად. ბევრი იმათგანი შეძლებული კაცი ყოფილა, რაიცა იქიდგანა სჩანს, რომ ისინი ადგილ-მამულს ჰყიდულობენ კუნძულზე და კარგ ფასსადაც. სომხებს გარდა, კავკასიელ ბერძნებსაც უნდათ კრიტზე გადასახლება საცხოვრებლად, რაიცა ამას წინადაც იყო მოხსენებული გაზეთებში. ამ ბერძნების წარმომადგენელნი კიდეც მისულან კანეაში და მოლაპარაკება გაუმართავთ მთავრობასთა, თუ რამდენად ადვილი მოსახერხებელია მათთვის ადგილ-მამულის შეძენა კუნძულზე და მოსახლობის გამართვა. კრიტელებს დიდი თანაგრძნობა გამოუცხადებიათ მათთვის. გაზეთების სიტყვით, სამოსიდგანაც განუზრახავთ ბერძნებს კრიტის კუნძულზე გადასახლება, რადგან სამოსზე ისე მრავლდება თურმე ხალხი, რომ ის ჩქარა ვერ დაიტევს თავისს შვილთ. ერთი სიტყვით, კრიტის მთავრობა დარწმუნებულა, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში კუნძულზე მცხოვრებთა რიცხვი ერთი ორად იმატებსო და ამის გამოზე კუნძულის სიმდიდრეც გაძლიერდებაო.

—

**ჩინეთი.** როგორც ჩინეთიდგან იუწყებიან, ქვრივ იმპერატრიცას ბატონობას ჩქარა ბოლო მოუღება ჩინეთში. უკანასკნელ დროს ძლიერ აშლია მას ნერვები: ხშირად გალიუცინაციაში ვარდება თურმე და მუდამ ის ელანდება, რომ ჩემი სიკვდილი აქვთ განზრახულიო. განსაკუთრებით იმის შიში არ ასვენებს(?) მოსვენებას, რომ არავინ მომწამლოსო. ამ დღეებში სულ ერთიან დაუთხოვნიათ სამსახურიდგან სამზარეულოს მსახურნი და ობერ-მზარეულმეისტრად დაუნიშნავთ იმპერატრიცის ძმის წული იუნგ-ლი, რომელიც ძლიერ ჰყვარებია იმპერატრიცას, და რომელიც ვალდებულია, სანამ რომელიმე საჭმელს მიართმევდნენ იმპერატრიცას, ჯერ თითონ გასინჯოს. ამ იუნგ-ლის ეხლა სამი თანამდებობა უჭირავს: ჯარების მთავარ სარდალია, ობერ-მზარეულმეისტერი და უფროსი მდივანი იმპერატრიცისა.

---

## კიდევ „მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობის“ ვითარების გამო.

(წერილი რედაქციის მიმართ)

„კარგი რამ მტერდეს გიკვირდეს,
ავი რა საკვირველია“.

რუსთაველი

ივნისის თვის „კვალის“ ერთ-ერთ ნომერში ბ-ნმა ს. ლ. ბახ—მემ კითომ და თავი იმართლა და ათასი ცილი-კი დაგვწამა მთლათ მეაბრეშუმეთა ამხანაგობის მმართველობას და თითონ ამხანაგობას. რადგან საგანი, რომელზედაც ლაპარაკია, თავის თავად საყურადღებოა, ამისთვის ვიღებთ ხმას.

„არავითარი დაწერილი წესდება ამხანაგობას ჯერ არა აქვსო“, ბრძანებს ბ—მე. ამხანაგობას აქვს დაწერილიც და დაბეჭდილიც ნოტარიული პირობა, რომლის ძალითაც პაიები გამოსცა და მოქმედობს ეს მეხუთე წელიწადია. გვიბრძანოს ბ—მემ, თუ ნამოქმედარი ცუდია, მრუდია, უნაყოფოა. რაც შეეხება მთავრობისაგან დამტკიცებულ წესდებას, პროექტი ასეთის წესდებისა მე წარვუდგინე 1896 წლის საზოგადო კრებას ამხანაგობისას, განვუმეორე 1897 წლის კრებას და მესამეთ 1898 წლის კრებას, წლევანდელი წლის 21 აპრილს. ყველა ის პირნი, ვინც სიტყვით წესდების მომხრეებათ გვაჩვენებენ თავს, სწორედ ისინი იყვნენ უარს წესდების მიღებაზე. მაგრამ კრებამ წელს დაბოლოებითად მიიღო წესდება და შეასრულა ამით ჩვენი ამდენი ხნის გულის წადილი.

ბ—მეს, როგორც თითონ აღიარებს, ვერ გაუგია ჩვენგან შედგენილი წლიური ანგარიშა ამხანაგობის აღებ მიცემობისა და დაბეჯითებით ამბობს: გულთმისანი უნდა იყოს კაცი, რომ ის ანგარიში გაიგოსო. რა გულთა მზრობა არის საჭირო ჩვენგან წარდგენილი ანგარიშის გასაგებად — ამაზე ცოტა ქვემოთ გვექნება ლაპარაკი, ახლა-კი უნდა ვკითხოთ ბ—მეს: მაშ ის ბანკები, ვისთანაც ამხანაგობას საქმე აქვს, როცა ამ ანგარიშებით იგებენ ამხანაგობის მდგომარეობას, გულთმისნები ყოფილან? ან კიდევ „პეტერბურგელი განყოფილება სასოფლო სამეურნეო და საკრედიტო დაწესებულებათა კომიტეტისა“ გულთმისნობით გვირჩევს ასეთი ანგარიშების შედგენას?!.

„ამხანაგოთ ერთათ-ერთი კაცი განაგებს ამხანაგობის საქმეებსო“, — გვწამებს ბ—მე და ავიწყდება არა სთვლის არც ხაზინადარს ამხანაგობისას, არც მდივანს და არც ხუთს წევრს სარევიზიო კომისიისას, და საბუთად ის მოჰყავს, რომ ამათგანი თურმე ზოგი დოქტორი ყოფილა და ზოგიც მღვდელი!.. საკვირველნი არიან, ბ ნო ბ—მევ, მოსაზრებანი თქვენნი!..

„წლიურ კრებებს განგებ მიწყრუბულში ნიშნავსო“, — გვწამებს კიდევ ბ—მე. ამხანაგობის ოქმების დავთრებიდგან-კი სჩანს, რომ პირველი მორიგი კრება ამხანაგობისა მომხდარა 1896 წლის 5 მარტს, მეორე — 1897 წლის 2 მარტს და გადადებულა 30 მარტისათვის, მესამე — 1898 წლის 22 მარტს და მხოლოდ მეოთხე, ესე იგი შარშანდელი არა მარტში, არამედ მდგომარე წლის 21 აპრილს. საანგარიშო წელი ამხანაგობისა თავდება თებერვლით, წლიური კრებები, გარდა ერთისა, დანიშნულია მარტის პირველ რიცხვებში. საიდგან სჩანს აქ, რომ ჩვენ განგებ ვაგვიანებდეთ კრებებს? წელს-კი, კრების აპრილში გადმოტანის უმთავრესი მიზეზი იყო ის გარემოება, რომ მე, ოთხ თვეს (ოქტომბრიდგან იანვრის გასვლამდის) საზღვარ-გარეთ მყოფი, მოშორებული ვიყავი ამხანაგობის აქაურ საქმეებს და ჩამოსვლისთანავე საზრუნავი ბევრი რამ შემექნა. ესეც რომ არა ყოფილიყო, განა შესაძლებელია ათას წევროვანი დაწესებულების ანგარიშის შედგენა, სარევიზიო კომისიისაგან ამ ანგარიშების განხილვა და თან კრების მოწვევაც სულ რაღაც ორი კვირის განმავლობაში?!.

„ამხანაგობის დავთრები მსურველთათვის გასაცნობად გადაშლილი არა გაქვთო“, — ახალ ცილსა გვწამებს ბ—მე. მაშ მობრძანდეს ამხანაგობის სამმართველოში ბ—მე და მოითხოვოს დავთრები — აბა, თუ ვინმემ ხელი დაუშალოს. დავარწმუნებთ, რომ ის აქ დოქტორებისაგან და მღვდლებისაგან უვნებელი დარჩება. ამხანაგობის მდივანი არც დოქტორია და არც მღვდელი. შიში ნურაფრისა ექნება. მხოლოდ ერთი რამ-კი უნდა მოგვიტევოს ბ-ნმა ბ — მემ: თუ მობრძანდა, ისე ვერ გაგუშვებთ, უკეთუ „გულთმისნობისა“ არა შეისწავლა-რა, მცირე რამე მაინც; მაგალითად, წლიურ ანგარიშში, რაც უნდა ვეძებოთ, მაინც ვერ ვნახავთ, თუ, ამ წლის დამდეგს, რა დღეს ჩაეწერა წევრათ ამხანაგობისა თუნდ იგივე ბ — მე, ან რომელიმე კერძო პირი. სათითაო წევრის მიღება ან თითოეული ფუთი პარკის ყიდვა წლიურ ანგარიშში არ იქმნება ცალკე მოხსენებული. მაშინ ის წლიური ანგარიში კი არა, იგივე დავთრები იქნებოდა, რომელთაგანაც, როგორც რეზიუმე, შედგენილია ანგარიში. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ სარევიზიო კომისია მაშინ და მხოლოდ მაშინ აწერს ხელს ანგარიშს და ეთანხმება ანგარიშის შემდგენს, როცა თითონ ანგარიში ეთანხმება შემოსავალ-გასავლის წიგნებს და მათი პირია ცდომილებით(?), ხოლო წიგნები ნაწარმოებია წესიერად და ყოველ შემოსავალს თუ გასავალს აქვს თავისი მიზეზი არსებობისა და გასამართლებელი საბუთი სინამდვილისა.

თუ გამოძღვანებს წინ ამ ანბანს ანგარიშის გაგების „გულთმისნობისას“ ბ — მე, მაშინ მას სრულიადაც არ გაკვირვებს მოხსენება ჩვენი სარევიზიო კომისიისა: „დავთრები წესიერად ნაწარმოებია და ანგარიშიც ეთანხმება მათო“, — დღეს-კი ეს მას ერთობ აკვირვებს და სრულიად მეტ ბარგად მიაჩნია რევიზიისათვის შესწორება ანგარიშისა წიგნებთან.

დასასრულ მოგიყვან რამდენიმე ცნობას ამხანაგობის წარსულიდგან:

ამხანაგობას ჰქონებია: 1895 წელს: საწევრო ანუ წილის ფული 5,103 მან. 27 კაპ., სათადარიგო და მარის თანხა (გადადებული წმინდა მოგებიდგან) 0 მ., წმინდა მოგება 3,428 მ. 38 კ., და სულ 8,531 მ. 65 კ., ამხანაგობას ჰქონებია: 1896 წელს: საწევრო ანუ წილის ფული 15,894 მ. 60 კ., სათადარიგო და მარის თანხა (გადადებული წმინდა მოგებიდგან) 684 მ., წმინდა მოგება 4,397 მ. 10 კ., და სულ 20,975 მ. 70 კ. ამხანაგობას ჰქონებია: 1897 წელს: საწევრო ანუ წილის ფული 19,011 მ. 57 კ., სათადარიგო და მარის თანხა (გადადებული წმინდა მოგებიდგან) 1,564 მ. წმინდა მოგება 5,608 მ. 87 კ., და სულ 26,184 მ. 44 კ. ამხანაგობას ჰქონებია 1898 წელს: საწევრო ანუ წილის ფული 19,782 მ. 59 კ., სათადარიგო და მარის თანხა (გადადებული წმინდა მოგებიდგან) 2,684 მ., წმინდა მოგება 4,190 მ. 97 კ., და სულ 26,657 მ. 56 კ., როგორც ვხედავთ, ამხანაგობას ამ ოთხ წელიწადს მიუღია წმინდა მოგება 17,624 მან. და 94 კაპ., (ჩვიდმეტ ათას მანეთზე მეტი). ეს მაშინ, როცა პარკში აძლევდა, რაც შეეძლებოდა, მეტ ფასსა; და ბოლოს, წელს, იმოდენი ნდობა მოიპოვა წევრთა შორის, რომ ამათ გადაჭრილი ფასის მაგიერათ ამხანაგობისაგან მიიღეს, როგორც ავანსი, თითო თუმანი თითო ფუთ პარკზე და ამ გვარათ მონაწილენი გახდნენ პარკის გაყიდულობაში, ესე იგი, როგორც მოგებაში, ისე ზარალში. ამხანაგობას რამდენიმე ნაწილი წლევანდელი პარკისა უკვე გაყიდული აქვს მარსელსა და მილანში ოქტომბერში ჩასაბარებლათ. დანარჩენი პარკიც იქ უნდა გაიგზავნოს.

ამხანაგობამ პირველ წელიწადს (1895) თავის არსებობისა გაასაღა 800 ფუთი ნედლი პარკი; მეორე წელიწადს — 3,000 ფუთი (კარგი მოსავალი იყო); მესამე წელიწადს — 2,600 ფუთი (მოსავალი ნაკლები იყო); მეოთხე წელიწადს 3,300 ფუთი (მოსავალი საშუალოს სჯობდა) და წელს აქვს ამხანაგობას 6,000 ფუთზე მეტი ნედლი პარკი (წლევანდელი მოსავალი, თუმცა თითოეულ ოჯახს შარშანდელზე მეტი არ მოსვლია და თითქმის ნაკლებაც, მაგრამ სამაგიეროთ ბევრმა მოჰკიდა ხელი ამ საქმეს და პარკი შარშანდელზე მეტი მოვიდა).

პირველ წელს ამხანაგობამ გაასაღა ოთხასი კოლოფი თესლი; მეორე წელს — 1,200 კოლოფი; მესამეს — ორი ათას კოლოფზე მეტი; მეოთხე წელს — 3,300 *) კოლოფი და წელს 10,000 კოლოფი. ამხანაგობის თესლმა რამდენათ მოიპოვა სახელი მეაბრეშუმეებში, ამას მოყვანილი ციფრებიც ამტკიცებს.

დასასრულ ორი სიტყვა ბ-ნს ს. ბ—მეს და მისთანათა: ქუთ. გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობას დაარსებიდგანვე სამაგალითო ჩადგა წესიერება და საქმის სამსახური და დღესაც იგი აქვს გადებული გზათ და ხიდათ და იგივე ასულდგმულებს. ვინც ნასწავლი კაცის სახელს სამართლიანათ ატარებს, ან უნდა მაინც ატაროს, იმისთვის უფრო საკადრისი იქმნებოდა, გზაზე გაგონილი ჭორების მაგივრათ, უფრო ახლო გასცნობოდა იმ დაწესებულებას, რომლის შესახებაც სწერს, და თუთრისთვის უკვლად უსაბუთოთ შავი არ ეწოდებინა. თქვენ დახმარება და ხელის შეწყობა მიბრძანეთ საზოგადო საქმეში, თორემ ხელის შეშლა, უკუღმართობა და სიავკაცე ჩვენში ხომ „არ ახალია — ძველია“.

ნ. წერეთელი.

*) 1898 წელს 3,300 კოლოფი თესლი ამხანაგობას არ ეყო და ბევრი დ რჩა უთესლოთ. ამისთვის ამხანაგობამ წინდაწინ ხელის მოწერა გამართა თესლზე და წელს ერთ ნახევრათ მეტი გაასაღა, ვინემ წინანდელ ოთხი წლის განმავლობაში.

ავტ.

---

## დამატებანი

—

უწმიდესია მხოლოდ შვენიერება, სისწორე და კანონიერი თავისუფლება.

***

თუ გინდა მდიდარი იყო, ბევრი ზნეობრივი საუნჯე მოიღვაწე.

ლასურიძე

***

მეფე იგი არს, რომელი გამეფდეს ვნებათა ზედა და მთავრობდეს თავსა ზედა თვისსა.

საეკლ. მუზ. № 153

---

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ბერლინში არსდება ქალთა ახალი კლუბი. ერთი ასეთი კლუბი უკვე არსებობს. დამაარსებელთ უქვე დაიქირავეს უზარ-მაზარი შენობა ბერლინის ერთს საუკეთესო ქუჩაზედ. მანდილოსანთაგან შემდგარი კომიტეტი შეუდგა ამ კლუბის წესების შემუშავებას.

***

მტრედების ფოსტა ეხლა ბევრგან არის მიღებული. ატლანტიის ზღვაში, ამერიკისა და ევროპის შუა მოსიარულე გემებს თითქმის ყველასა ჰყავთ საფოსტო მტრედები. ეს მტრედები სამაგალითოდ არიან გაწურთვნილნი. დეპეშები, მეტად წვნიკად დაბეჭდილი ან დაწერილი, პაწაწინა მილში აწყვია, ხოლო ეს მილი მტრედს ფეხზედა ჰკიდია. როდესაც მტრედი დანიშნულს ადგილს მივა, მილს მოხსნიან, გახსნიან და დეპეშას წაიკითხავენ.

***

მკითხველებმა ჩვენის გაზეთიდგან უკვე ბევრი რამ იციან მონაკოს ან მონტე-კარლოს შესახებ. მონაკო თუმცა სამთავროა, მაგრამ ეს სამთავრო მხოლოთ ერთის ქალაქისაგან შესდგება. რაოდენობას თუ მივიღებთ მხედველობაში, არც ერთს სახელმწიფოს არ ექმნება იმდენი შემოსავალი, რამდენიც ამ სამთავროსა აქვს. მონტე-კარლოში უპირველესი საყომარბაზო სახლია და დიდი შემოსავალიც სამთავროს ამ სახლიდგანა აქვს. მთავრობას ეს სახლი კონცესიით აქვს გაცემული სააქციონერო საზოგადოებაზედ. როგორც 98—99 საფინანსო წლის (საფინანსო წელიწადი იქ მარტიდგან მარტამდე ითვლება) ანგარიშიდგანა სჩანს, საზოგადოებას წმინდა შემოსავალი ჰქონდა საყომარბაზო სახლიდგან 24,500,000 ფრანკი, სასტუმროსა და კაფე „პარიჟიდგან“ — 600,000 ფრანკი. ამ რიგად წმინდა შემოსავალი 25 მილიონ ფრანკს აღემატებოდა. საზოგადოების უმთავრეს აქციონერად თვით მონაკოს მთავარი ალბერტია, რომელიც ამ ჟამად 1600 აქციის პატრონია. აქციები გამოცემულ იქმნა 1856 წელს. თითო აქცია მაშინ 500 ფრანკი ღირდა; დღეს კი 4,275 ფრანკი ღირს. საზოგადოებას ვადა 1906 წელს უნდა გასვლოდა, მაგრამ მთავარმა კონცესია 50 წლით კიდევ განაგრძო. ამ კონცესიის ვადის მომატებისათვის საზოგადოებამ მთავრის სასარგებლოდ 10 მილიონი ფრანკი გარდაიხადა. ამას გარდა საზოგადოებამ 1900 წელს უნდა ააგოს ახალი საოპერო თეატრი, რო-

მელიც 4 მილიონ ფრანკზედ ნაკლებ არ უნდა დაჯდეს. სხვა ხარჯიც ბევრი აქვს საზოგადოებას; ყოველ გვარ ხარჯს სამთავროს მართვა-გამგეობისას ის ეწევა: ის იხტუმრებს მოხელეებს, გაჰყავს გზები, ხიდები, ქუჩებს ის ანათებს, აგებს ქვას, სწმენდავს, წყალი იმას გამოჰყავს და სხვა. ასე რომ მონაკო, ვგონებთ, ერთად-ერთი სახელმწიფოა მთელ დედამიწის ზურგზედ, რომლის მცხოვრებნიც არავითარ ხარკსა და გადასახადს არ იხდიან. ასე გასინჯეთ, სწავლა-განათლების საქმე, პოლიცია და ჯარიც-კი (თუ კი შეიძლება ორიოდე ჯარის კაცს ჯარი უწოდოთ) საზოგადოების ხარჯზეა. ყველა ამას გარდა საზოგადოება იძულებულია მთავრის ყოველივე სურვილი აასრულოს. ამ სურვილებს, მაგალითად, წარსულ საანგარიშო წელს 19 მილიონი ფრანკი მოუნდა. ასეთის დიდის ხარჯის მიუხედავად საზოგადოებას მაინც აუარებელი ფული რჩება. ამ რიგად ხარჯის გამღებნი ეს საზოგადოება კი არა, ის მდიდარი ვაჟბატონები არიან, რომელნიც მრავლად აწყდება ამ სახელ განთქმულს საყომარბაზო სახლს. მათი რიცხვი არამც თუ არა კლებულობს, დღითი დღე მატულობს კიდეც. საანგარიშო წელს ნიცაში სახადი მძვინვარებდა, შემდეგ პოლიტიკური უთანხმოება ჩამოვარდა საფრანგეთსა და ინგლისს შორის და ამ გარემოებათა წყალობით მონტე-კარლოს შემოსავალმა ოდნავ იკლო ამ წლის იანვრისათვის, მაგრამ თებერვალში იმოდენა ხალხი მიაწყდა, რომ მოგებამ ერთი-ორად იმატა.

* * *

ამას წინეთ საიდუმლო პოლიციის ერთი აგენტი პარიჟს ერთს ქუჩაში შეხვდა სამგლოვიარო პროცესიას. უკან კუბოს მისდევდა პროსპერ რომიენი, რომელსაც კარგა ხანია პოლიცია გაცხარებული დაეძებდა თურმე და რომელსაც მრავალ გვარს დანაშაულობისათვის დაპატიმრებას უპირებდა. პოლიციელი ძალიან გაკვირდა, დაღონებული და დაძმარებული რომიენი რომ დაინახა. ეტყობა რომიენი ჭირისუფალიაო,— გაიფიქრა. შემდეგ პოლიციელი ჩაერია პროცესიაში და ჰკითხა ხალხს, ვისა მარხავთო. „ბ-ნ პროსპერ რომიეხს ვასაფლავებთო,“—მიუგეს. პოლიციელი უფრო გაკვირდა, შემდეგ რომიენის სურათი ამოიღო ჯიბიდგან, დახედა და ხელ-ახლა დარწმუნდა, რომ რომიენი მკვდარი კუბოში-კი არ იდო, არამედ ცოცხალი კუბოს მისდევდა. როდესაც კუბო ჩაასვენეს, პოლიციელი მივიდა პროსპერთან, რომელმაც მაშინვე მიუგო:—მე ემილ რომიენი ვარ. ეს ჩემი ძმა პროსპერი დავასაფლავეთო. პოლიციელმა მაინც ყურადღება არ მიაქცია და პოლიციაში წაიყვანა. იქ გამოირკვა, რომ პროსპერი კი არა, ემილი დაუსაფლავებიათ, პროსპერს უნდოდა თურმე იმის სახელით ესარგებლნა და დანაშაულობა აეცდინა თავიდგან, მაგრამ შეუტყვეს, დაიჭირეს და საპყრობილეში ჩასვეს.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

30 ივლისი.

**რენნი.** დრეიფუსი და პალეოლოგი სასამართოს კრებაზედ შეიყვანეს 6 საათსა და 45 წუთზე. ბრბო სასამართლოს გარეშემო გაცილებით მეტია, ვიდრე წინად. კრება 7 საათზედ დაიწყო.

**რენნი.** პალეოლოგის ჩვენების ჩამორთმევა დასრულდა 8 საათსა და 40 წუთს. ხვალ კრება საჯარო იქმნება. დრეიფუსი საპყრობილეში 8 საათსა და 50 წუთს დაბრუნდა.

**რენნი.** სასამართლოს წევრები დღეს გულ-დასმით ისმენდნენ განმარტებებს. ვექილებმა ბევრი რამ აღნიშნეს. დრეიფუსი, გაჩუმებული, ყურს უგდებდა. გადასწყვიტეს, შემდეგ თუ დასჭირდათ, ხელ-ახლა მიმართონ საიდუმლო საბუთის ქაღალდებს.

**მადრიდი.** გამოქვეყნებულ იქმნა უმაღლეს სამხედრო სასამართლოს განაჩენი სანტ-იაგოს გადაცემის შესახებ. ყველა გენერლები და აფიცრები გამართლებულ იქმნენ, მაგრამ ბრძანებაა გაცემული გამოძიებას შეუდგენენ იმ დამნაშავეთა გამოსარკვევად, რომელთა წყალობით საომარი იარაღი შემოაკლდა სანტ-იაგოს.

31 ივლისი

**პარიჟი.** დელკასე დაბრუნდა აქ ნაშუადღევს. ვალდეკ რუსომ მიიღო ის საღამოს. ხვალე დელკასე მიდის რამბულიეში, სადაც ის აუზმებს ლუბესთან.

**ლისაბონი.** ოფიციალურიდ იუწყებიან, რომ უკანასკნელ ორი თვის განმავლობაში რამდენიმე შემთხვევა იყო საეჭვო ავადმყოფობისაო.

**ბელგრადი.** ალექსანდრე მეფე, მილანი და ყველა მინისტრები ნიშში წავიდნენ. როგორც ისმის, სკუპშჩინა დაუყონებლივ იქმნება მოწოდებულ. სამსახურიდგან გადამდგარ მინისტრებს—ანტონ ნოვიჩისა და ლოზანიჩის ადგილას დანიშნულ იქმნა გარეშე საქმეთა მინისტად მთავრობის კამისარი სერბიის ნაციონალურ ბანკში—პენჩინი და ვაჭრობის სამინისტრო ჩაჰბარდა ფინანსთა მინისტრს პეტროვიჩს. მინისტრების გამოცვლას პოლიტიკური მნიშვნელობა არა აქვს და აიხსნება მხოლოდ მინისტრების ავადმყოფობით.

### ქველ-მოქმედთა საყურადღებოდ.

მკითხველებს ცხსომებათ, რომ ამას წინად ქიზიყის ოთხს სოფელს დიდი უბედურება ეწვია: რაც გაზაფხულის სინესტეს და სეტყვას გადარჩა, ის შეუბრალებელმა ცეცხლმა შთანთქა. დიდია ზარალი და გაჭირვებულთა რიცხვი. არიან ისეთი გაჭირვებულნიც, რომელთაც სულს აქეთ აღარა გააჩნიათ რა. ხოლო ამ უკანასკნელთა შორის-კი განსაკუთრებით მწარე ბედი ეწვია სოფ. ბოდბის ხევის მცხოვრებს პარასკო ნაცვლიშვილის ქვრივს, რომელსაც თითქმის მთელი ავლა-დიდება—180 ათეულიანუ 16 ურემი მომკილი ძნა ცეცხლმა მოსტაცა. დარჩა საბრალო ქალი ყოვლად უმწეოდ ოთხის ობლით, ორმოცი თუმნის ვალით, (რომელიც მარმან ქრმისა და შვილის საექიმოდ და შემდეგ დასამარხად აიღო) და 35 მ. სახელმწიფო გარდასახადით. მივმართავთ და ვთხოვთ ყველა იმას, ვისაც გულ-ეწვის გაჭირვებულთათვის, ნუ დაიშურებენ ხსენებულ ქვრივისათვის თავიანთ წვლილს, რათა უბედურ ადამიანს მცირედაც არის ბედი შეუმსუბუქონ და მის წვრილ ობლებს მიუცილებელი დაღუპვა თავიდგან ააშორონ!!

შემოწირულება შეიძლება გამოიგზავნოს „ივერიის“ რედაქციაში.

ვასილ ნაცვლიშვილი

### „ივერიის“ ფოსტა.

**ვ. ჭ—ძეს.** არ დაიბეჭდება.

**სოს—ო. ს. დ. ა—ძეს** არ დაიბეჭდება.

**ი. ბ—ძეს.** არ დაიბეჭდება.

**ს. ქ—თი. ი. ში—ძეს.** თანახმად თქვენის სურვილისა დავხიეთ.

**ჩიბუხს.** არ დაიბეჭდება.

**სა—ნი. დ. ხ—შვილს.** არ დაიბეჭდება.

**ურიელ აკოსტას.** არ დაიბეჭდება.

**ნინია მღვდლის შვილს.** არ დაიბეჭდება.

**ანსელოს.** არ დაიბეჭდება.

**ძის—ლი. ძ—ს.** არ დაიბეჭდება.

**ს—ელს** (პსევდ.) თქვენი ლექსები არ დაიბეჭდება.

**ს. ძ—ლი. მ. ყ—შვილს.** ლექსი „რას მიჭიკჭიკებ, ჩიტუნავ“!?. არ დაიბეჭდება.


## განცხადებანი

### ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისაგან

1) მდგომარე წლის ენკენისთვისათვის ტფილისის სათავად აზნაურო სასწავლებელში არის სულ ორმოცდა თექვსმეტი ვაკანსია: პირველ განყოფილებაში 50 ვაკან. (7 და 8 წლის ყმაწვილებისათვის) და მეორეში 6 ვაკ. (8 და 9 წლის ყმაწვ.) სხვა განყოფილებებში და გიმნაზიურ კლასებში არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის.

2) 56 ვაკანსიიდგან 55 არის დანიშნული გარედან მოსიარულეებისათვის და ერთი საზოგადოების სრულ ხარჯზედ.

3) ვინც საზოგადოების სრულ ხარჯზედ იქმნება მიღებული, იმას არაფერი ხარჯი არ მოეთხოვება.

4) ვისაც ჰსურს მიღებულ იქმნას საზოგადოების სრულ ხარჯზედ, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი საბუთის ქაღალდები: ა) წლოვანობის (ნათლობის) მოწმობა, ბ) სიღარიბის მოწმობა მაზრის თავად აზნაურობის წინამძღოლისაგან, გ) მოწმობა ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა, რომ იგი ირიცხება ხსენებულ ბანკის დამფუძნებელთა შორის, დ) ყვავილის აცრის მოწმობა.

5) ვისაც გარედგან მოსიარულეთ ჰსურს შემოსვლა, იმისთვის საჭიროა იგივე საბუთის ქაღალდები. გარდა დამფუძნებელობისა და სიღარიბისა.

6) უკეთუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატება ვაკანსიების რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველნი მიშვებულნი იქმნებიან წილის ყრით.

წილის ყრაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც წარმოადგენენ ყველა საჭირო საბუთის ქაღალდებს და ამასთანავე ეგზამენსაც დაიჭერენ წლოვანობის შესაფერ კლასისათვის.

7) ვინაიდგან პანსიონში შემომსვლელთათვის მცირეა ვაკანსიების რიცხვი და მსურველი-კი ბევრია, სკოლის გამგე კომიტეტი იძულებული იქმნება დაითხოვოს ის პანსიონერები, რომლებზედაც წინა წლის ფულია დარჩენილი იმისთვის, რომ ადგილი დაუცალოს ახალ შემომსვლელებს. ამიტომ სკოლის მთავრობა სთხოვს მშობლებს, რომელთაც სრულად არა აქვთ შემოტანილი სწავლა-აღზრდის ფასი, უთუოდ შემოიტანონ პირველის ენკენისთვისათვის, რაც არის მათზედ დარჩენილი, თორემ მათი შვილები უსათუოდ იქმნებიან დათხოვნილნი პანსიონიდამ.

8) შესაძლებელია სექტემბერში, მოსწავლეების ხელმეორე გამოცდის, შემდეგ, კიდევ განთავისუფლდეს რამდენიმე ვაკანსია იმათთვის, ვინც სრულ საკუთარ ხარჯზედ ისურვებს პანსიონში შემოსვლას, ან ნახევარ ხარჯზედ. ვინც საკუთარ ხარჯზედ შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანოს წელიწადში ოცი თუმანი: ათი შემოსვლისთანავე და ათი იანვარში,

9) თხოვნების შემოტან შეიძლება ავგისტოს 25-მდის ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Завѣдывающему Тифлисской Дворянской щколой на Лабораторной улицѣ въ д. Селикова.

10) ავგისტოს 26 და 27 რიცხვებში მოხდება ხელ მეორე გამოცდა ზოგიერთ მოსწავლეებისა და 28—31 მისაღები ეგზამენები.

1 სექტემბერს დაიწყება სწავლა.

11) პანსიონში არ იქნებიან მიღებული აგრეთვე ის პანსიონერებიც, რომელნიც სკოლაში მოსვლისათანავე არ წარმოადგენენ მომავალ $18^{99}/_{900}$ სასწავლო წლის ფულის ნახევარს.

12) ყველა პანსიონერის მშობლებმა უნდა წარმოადგინონ თავდები ტფილისში მცხოვრებთაგან, რომელთაც შეეძლოს სკოლის გამგეობას მიმართოს, როგორც ფულის თავისს დროზე შემოტანისა, აგრეთვე სხვა შემთხვევაშიაც.



როიალები



პიანინო



ფის-გარმონიები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

პრეისკურანტები მუქთად იგზავნება,

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა ბ. მ. მირიმანიანისა

музыкальное депо М. МИРИМАНЯНА

Тифлисъ. Дворцовая ул. (24—6.—15)

## საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელი მეთვრამეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო ნათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამ დოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1899—1900 მოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო გეოგრაფია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა წერა-გაკრული და მხოლიანი (исправленiе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სასახლის ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და მთის ქუჩაზედ, ავლაბარში.

პროგრამმები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. ზ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—14)

მეორე გამოცემა!

ჩვენ გამოცემული გვაქვს საუკეთესო

პაპიროზის ქაღალდები

ყაზბეგისა და მამია გურიელის სახეების ზედ გამოხატვით.

მათი ყალბი მიმსგავსება უკვე გამოვიდა.

სიყალბეს ერიდეთ!

სავაჭრო სახლი „ი. გოკიელოვის შვილები“, ქუთაისი. (10—5)